პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 191 (5221)

1974 წ. 26 სექტემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

### საქართველოს ჩემპიონები მშვილდოსნობაში

ამას წინათ თბილისის „დინამოს" კომპლექსურ ბაზაზე დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. ცეცხლის ხაზზე გავიდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და ლენინგორის წარმომადგენლები. გუნდური ასპარეზობა თბილისელებმა მოიგეს. პირად შეჯიბრებაში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა თბილისელი ქ. ლოსაბერიძე („ბურევესტნიკი"), ხოლო ვაჟთა ტურნირში ყველას აჯობა თბილისელმა ა. მეტრეველმა („დინამო").

სურათებზე: ქ. ლოსაბერიძე და ა. მეტრეველი.

ო. გელაშვილის ფოტოები.





საკვირის მოგზაურობს

## პირველნი — ფეხბურთის მინდორზე, პირველნი — შრომაში

საბჭოთა მეურნეობა „ვედენოვსკის" ფეხბურთელები შჩუჩინის რაიონის ჩემპიონები გახდნენ — „ოქროს თავთავის" პრიზი მოიპოვეს. ისინი „ქაირათის" საოლქო პირველობის პრიზიორებიც არიან.

მათი უმრავლესობა მექანიზატორია. ახლა ისინი მონაწილეობენ მოსავლის აღებასა და შემოდგომის ხნულის მომზადებაში. კომბაინერმა გ. ტატაროვმა 12 დღეში 416 ჰექტარი მოთიბა და თითქმის ორი ცვლის ნორმას ასრულებდა. ა. ფიოდოროვმა 17 დღეში 150 ჰექტარზე მეტი მოხნა. მისი დღიური გამომუშავება 130-150 პროცენტს შეადგენს.

მკის დროს განსაკუთრებით თავი ისახელა გუნდის კაპიტანმა და მეურნეობის კომორგმა ი. სევასტიანოვმა. იგი დღეში 47 ჰექტარს მკიდა, რაც 2,5 ნორმას უდრის.

— სპორტი მუშაობაში გვეხმარება, — ამბობს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ლ. ლიეპა. — ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ შევქმნათ პირობები სპორტის გასავითარებლად, გვაქვს ფრენბურთის, კალათბურთის, სათხილამურო და საცივურაო სპორტის სექციები. შევიძინეთ სპორტინვენტარი, ავაშენეთ სტადიონი, სადაც საოლქო შეჯიბრებები ტარდება.

საბჭოთა მეურნეობაში მომუშავე 800 კაციდან მესამედზე მეტი ფიზკულტურელია. ყოველ მეექვსეს სპორტული თანრიგი აქვს. მუშა-მოსამსახურეთა სამი მეოთხედი მშდ კომპლექსის ნორმატივებს აბარებს. სხვათა შორის, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი უკვე მშდ ნიშნოსანი გახდა.

პ. კაპიტონოვი.

კოკჩეტავი.

## აფრები ურალზე

ურალის ცისფერ ტალღებზე თეთრი აფრები გამოჩნდა: საწვრთნელ ცურვაში გავიდა ამ მდინარის ქვემოთში პირველი — გურიევსკის იახტკლუბის ფლოტილია. იგი შედგება 14 ნავისგან, რომლებისთვისაც საგზაო-სამშენებლო ტრესტის ადგილობრივმა კოლექტივმა სპეციალური მისადგომი ააშენა. მალე ლენინგრადიდან მოელიან კიდევ ათ ნავს.

გურიევსკის აფროსნებმა ჯერ ურალის დელტის ათვისება დაიწყეს, მერე კი, როცა გამოცდილებას შეიძენენ, კასპიის ზღვის უსაზღვრო სივრცეებში გავლენ.

ალმა-ათა.

## მარშრუტი ამუდარიაზე გავიდა

ამუდარიის ქვემოთში გაკვლეულია პირველი ტურისტული მარშრუტი. მდინარეზე მოგზაურობის მოყვარულმა შვიდმა სპორტსმენმა, ხორეზმის ოლქისა და ყარაყალპაკეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ბაიდარებით გაიარეს ასობით კილომეტრი ტუიამუიუნის ჰიდროკვანძიდან არალის ზღვასთან მდინარის შეერთებამდე.

მათს თვალწინ გადაიშალა შუა აზიის ორი დიდი უდაბნოს — ყიზილყუმისა და ყარაყუმის პეიზაჟები, სულთან-უიზდაგის ქედის ფერდობები. ტურისტებმა ნახეს ტახიატაშის კაშხალი, წყალსაცავების ნაგებობები, სარწყავი არხების მთავარი შლუზები, ახალი და ძველი ქალაქები...

ნაპოვნია ღამის თევის მოსახერხებელი ადგილები, დადგენილია მდინარეზე მოძრაობის გრაფიკი.

ტაშკენტი.

## ქალთა სპარტაკიადის ფინიში

ტაჯიკეთის დედაქალაქში დამთავრდა ახალგაზრდა ქალთა VI რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები. სპარტაკიადა ტაჯიკეთის სსრ და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა.

სპარტაკიადის შედეგები შეაჯამა მთავარმა მსაჯმა ზ. რახმატულაევამ.

— შეჯიბრების პირველ ორ ეტაპზე, რომლებიც ტაჯიკეთის ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში მოეწყო, სტარტზე 60 ათასზე მეტი მონაწილე გამოვიდა. მათგან 20 ათასმა მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა, თანრიგოსანი გახდა, ბევრ მათგანს სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდებაც კი მიენიჭა. სპარტაკიადის ფინალშიც რამდენიმე კარგი შედეგი იქნა ნაჩვენები.

მოსკოვის რაიონის მოსწავლე ს. ისმაილოვამ გაიმარჯვა მოჭიდრაკეთა შეჯიბრებაში, ლენინის რაიონის წარმომადგენელი ნ. ბახრომოვა და დუშანბელი ხ. დაუტოვა პირველნი იყვნენ ტყვიის სროლაში, 200 მეტრზე რბენაში პრიზიორი გახდა დ. მირზოევა — რეგარის რაიონის მშენებელი.

V სპარტაკიადის დროიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ტაჯიკეთის ახალგაზრდა ქალთა სპორტული ოსტატობა, — თქვა ბოლოს ზ. რახმატულაევამ. — ქალთა სპორტი რესპუბლიკაში მასობრივი გახდა, რასაც ხელი შეუწყო მშდ კომპლექსის დანერგვამ.

ვ. ბუჩკოვსკი.

დუშანბე.

## მწვერვალებს მამაცები იპყრობენ

პამირში ზაალაის ქედის უსახელო მწვერვალზე (6146 მ) დადგმულია ყირგიზეთის სსრ სახელმწიფო გერბი ციფრით „50". რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ო. მანუილოვას მიერ შექმნილი ეს გერბი მწვერვალზე აიტანეს ყირგიზეთის მაღალმთიანი ექსპედიციის მონაწილეებმა, გაერთიანება „ყირგიზსელხოზტექნიკის" მთავარი ინჟინრის ვ. ბირიუკოვის ხელმძღვანელობით. მთამსვლელებმა გადაწყვიტეს მწვერვალს დაარქვან „საბჭოთა ყირგიზეთის 50-ე წლისთავი", რომელსაც წლეულს შემოდგომაზე აღნიშნავენ.

პამირმა მთამსვლელებს მთელი თავისი მრისხანე ხასიათი უჩვენა: ქარი, ძლიერი ყინვა, ციცაბო აღმართები, ბურუსი... მაგრამ ადამიანებმა მამაცურად გადალახეს ყველა სიძნელე და ნ-კილომეტრიანი სიმაღლე დაიპყრეს...

ოში.

# „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე

მოგვყავს ჰოკეიში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის ტრადიციული გათამაშების პირველი მატჩების შედეგები:

ლენინგრადი. „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) — „შტორმი" (ლენინგრადი) 10:2, ცსკა — ასკ (მოსკოვის სამხედრო ოლქი) 8:5. ამ მატჩში თავი გამოიჩინა ბ. ალექსანდროვმა (ცსკა), რომელმაც მეტოქეთა კარში 4 შაიბა გაიტანა.

რიგა. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 4:2, „დინამო" (რიგა) — „მოლოტი" (პერმი) 8:2.

მინსკი. „ტორპედო" (გორკი) — „სალავათ იულაევი" (უფა) 6:1, „სიბირი" (ნოვოსიბირსკი) — „დინამო" (მოსკოვი) 6:1.

კიევი. „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) — რუმინეთის ნაკრები 7:2. მოსკოველმა გ. მასლოვმა 3 შაიბა გაიტანა (სსრ კავშირის ჩემპიონს ძირითადი მოთამაშეები არ გამოუყვანია,ვინაიდან ისინი კანადაში ასპარეზობდნენ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში). „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — „დინამო" (გდრ) 5.4.

როცა გაზეთი ხელმოწერილი იყო... $19^{45}$

◆ ალმა-ათა, 25 სექტემბერი. მოსკოვის სამხედრო ოლქის ნაკრების (ბ. მოსოლოვი, ა. გორლოვი, ვ. შმელიოვი) გამარჯვებით დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრების ბოლო დღეს მოსკოველებმა მძლეოსნურ კროსში სულ 5 წამით აჯობეს კარპატისპირეთის სამხედრო ოლქის გუნდს (პ. ლედნიოვი, ლ. ივანოვი, ვ. გოლომოზვი), რაც გუნდური გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. III, IV და V ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ რსფსრ-ს, მოსკოვისა და უკრაინის დინამოელთა კოლექტივები. VI ადგილი ყაზახეთის „ენბეკს" ხვდა, რომელიც საუკეთესო აღმოჩნდა პროფკავშირულ გუნდებს შორის. სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ო. ჩუვილინმა ხოტბა შეასხა ახალგაზრდა ლვოველ ხუთჭიდელს დ. სუშკოვს, რომელმაც ქულათა საუკეთესო ჯამი (5216) მოაგროვა, რაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს შეეფარდება. გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩა მოსოლოვი. მსოფლიო ჩემპიონ ლედნიოვს მეხუთე შედეგი აქვს.

# ნაკრებთა შორის მეორე

სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა — მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის" გუნდმა ბულგარეთის ქალაქ ვარნაში რეგბისტთა საერთაშორისო შეჯიბრება „ალბენა-74"-ში II ადგილი დაიკავა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, იტალიისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები.

ტურნირში პირველობა დაისაკუთრეს „ფირა-ს თასის" (მსოფლიოს არაოფიციალური პირველობა, რომელსაც რეგბის სამოყვარულო საერთაშორისო ფედერაცია ატარებს) 1969 წლის გათამაშებაში გამარჯვებულმა რუმინელმა რეგბისტებმა, რომლებიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესნი არიან.

მოსკოველებმა ჯერ ბულგარელებს სძლიეს (12:10), მერე კი — პოლონელებს (17:12), რომლებიც მარშან „ფირა-ს თასის" გათამაშების „ა" ჯგუფში გამოდიოდნენ.

მოსკოველები ფინალში რუმინელებთან დამარცხდნენ — 0:26.

III ადგილისთვის ბრძოლაში პოლონელებმა ჩეხოსლოვაკიის გუნდს მოუგეს — 15:14.

დასანანია, რომ სსრ კავშირის რეგბის ფედერაციამ ასეთი მაღალი რანგის ტურნირზე ქვეყნის ნაკრების გაგზავნა არ ცნო საჭიროდ. მართალია, რუმინეთის გუნდს ალბათ ვერც საბჭოთა ნაკრები დაამარცხებდა, მაგრამ უეჭველია, რომ საბჭოთა და რუმინეთის პირველი ნაკრები გუნდების მატჩი უფრო საინტერესო იქნებოდა და შესაძლოა, ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით არ დამთავრებულიყო. ხომ ცნობილია, რომ იმავე „ფილიმ" გაზაფხულზე ბუქარესტის „სტიაუა" (რუმინეთის ახლანდელი ჩემპიონი) დაამარცხა ანგარიშით 6:0.

ა. კიმენოვი.

(საკუთარი კორ.).

# რეკორდები

ნოვომოსკოვსკი, 25 სექტემბერი. ამ ქალაქის მახლობლად მდებარე წყალსაცავზე მესამე საკავშირო მილწევით, რომლებიც ოფიციალურ მსოფლიო რეკორდებზე უკეთესია, დამთავრდა საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონატი წყალსამოტორო სპორტში. ეს მიღწევები ეკუთვნით ლენინგრადელ გ. გრუშევსკის, მოსკოველ ი. ბოგდანოვს და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელს ა. ჟიროვს.

გრუშევსკიმ „რ-4" კლასის გლისერზე საათში 108,861 კმ სიჩქარე განავითარა. ამავე დისტანციაზე (10 მილი) „ობ" კლასის ხკუტერზე ბოგდანოვმა 106,226 კმ სიჩქარე აჩვენა, ხოლო ჟიროვმა მსოფლიო რეკორდი „ხა" კლასის მოტონავით დაამყარა ასევე 10 მილზე რბოლაში — 45,077.

ახალ ჩემპიონთა შორის, რომლებმაც ასევე დიდ სიჩქარეებს მიაღწიეს, არიან ს. მანუკიანი (დოსააფი, სომხეთი), მ. როზენტალი („კალევი", ესტონეთი), ს. ჟიროვი (დოსააფი, მოსკოვი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „შრომითი რეზერვების" სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდა „კალევი", ხოლო III — ლიტვის „ჟალგირისი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# ერთი ჩემპიონატის ორი განზომილება

## სად ხართ, ბრასისტებო?

## ვიდრე გულს აიცრუებენ

ყოველი ქვეყნის მოცურავეები თავიანთა მიღწევებს შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე აუმჯობესებენ. დიახ, მათს ასპარეზობას რეკორდები ამშვენებს მუდამ. წლეულს საქართველოს მოცურავეებს არც ერთი ტურნირი არ დაუმთავრებიათ ისე, რომ რესპუბლიკური რეკორდები არ დაემყარებინოთ. ეს რეკორდები პირდაპირ ხეტყვასავით მოდიოდა: მათმა რიცხვმა ლამის 100-მდე მიაღწია. აქედან 25 საქართველოს აბსოლუტური რეკორდია.

ჩვენი მოცურავეებისთვის განსაკუთრებით „სწრაფი წყალი" ქუთაისის „განთიადის" საცურაო აუზშია. ახლახან სწორედ იქ ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი. მაგრამ გაცურვა გაცურვას მისდევდა, რეკორდები კი არა და არ ჩანდა. ასე გაგრძელდა ბოლო ფინიშამდე.

ცურვის სპეციალისტთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ეს შეჯიბრება აშკარად დაგვიანებით ჩატარდა, მოცურავეები ხანგრძლივი სტარტების შემდეგ ისვენებდნენ და სპორტული ფორმაც დაკარგეს. მეორე ჯგუფი კი, რომელსაც უმცირესობა შეადგენს, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს ნაკრების უფროსი დამრიგებლის ლ. იოკიმიდის თავკაცობით ასაბუთებს, სწორედ ეს პერიოდია მიზანშეწონილი ასეთი მასშტაბის შეჯიბრების ჩატარებისთვისო. იგი თავის არგუმენტს ასე ამტკიცებს — თბილისელებს წელიწადის ნებისმიერ დროს შეუძლიათ წყალში ვარჯიში, პერიფერიების წარმომადგენლებს კი ასეთი ბედნიერება მხოლოდ ზაფხულობით ეძლევათ, რადგან ისინი წყლის გათბობას მოკლებული არიან. ჰოდა, მათ სწორედ ახლა შეეძლოთ თბილისელთათვის ასე თუ ისე გაეწიათ წინააღმდეგობა.

რომელი არგუმენტია სწორი? ვფიქრობთ, ორივე მართალია. ყველა ჩვენი მოცურავე ერთნაირ პირობებში რომ იყოს, აღარც ეს „დაჯგუფება" იქნებოდა.

... ლ. იმნაძეს ძალიან სურდა 200 მეტრზე ბატერფლაით საქართველოს ჩემპიონი გამხდარიყო, მაგრამ თბილისელი გოგონას ოცნება ოცნებად დარჩა. რა მისი ბრალია, თუ მთელი 200 მეტრი ეულად გაცურა! ასეთ შემთხვევაში კი, მოგეხსენებათ, „გამარჯვებულს" ჩემპიონის ტიტულს არ აძლევენ. გაწბილებულმა იმნაძემ შემდეგ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაშიც სცადა ბედი. იგი ფინიშთან მესამე მიიჭრა. ვფიქრობთ, არც ამ ადგილზე იტყოდა უარს, მაგრამ ბრინჯაოს პრიზიორის სახელიც საოცნებო გაუხდა — მეოთხე მონაწილე არ ჩანდა.

ასეთივე ბედი გაიზიარა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე გოგონამ, თბილისელმა ნ. გეოკჩოღლიანმაც.

თავი დავანებოთ ამ ტრადიციულად ჩამორჩენილ სახეობებს. ორიოდე სიტყვა ბრასისტებზე ვთქვათ. ეს ის სახეობაა, სადაც ჩვენი რესპუბლიკა ტრადიციულად ძლიერია. გავიხსენოთ ა. ანტონოვი, ვ. ფუნიკოვი, ა. ტუტაკაევი, ი. კირდიანოვი... ისინი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე მეტნაკლებად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ. რესპუბლიკურ შეჯიბრებებში კი ჩვენს ბრასისტებს მუდამ „სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული. სულ ახლო წარსულში თვით ჩემპიონობის ფავორიტიც კი ხშირად არ იყო დაჯერებული, რომ ფინალურ გაცურვაში მოხვდებოდა. მაგრამ ის დრო წავიდა და, ცხადია, მასთან ერთად ის მოცურავეებიც წავიდნენ. დღეს კი ჩვენს რესპუბლიკას ამ სახეობაშიც ძალიან უჭირს. ამიტომაცაა, რომ საქართველოს ნაკრების მესვეურები ყველაზე მეტად ბრასისტების გამოსვლებს აკვირდებიან. არა, ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ჩვენი ბრასისტების საქმე ისე წახდა, რომ მათ სხვა სტილით მოცურავეები სჯობდეთ. უბრალოდ, ისინი მათს დონეზე ჩამოვიდნენ. ქუთაისში როგორც 100, ისე 200 მეტრზე ცურვაში თბილისელმა ი. ლეკვეიშვილმა გაიმარჯვა. ჩვენ გულდასმით ვაკვირდებით მის გამოსვლებს. იგორს უაღრესად რაციონალური სტილი აქვს, არც სისწრაფე აკლია. მან ორივე მანძილზე თანაბარი შედეგები აჩვენა (შესაბამისად 1.14,4 და 2.45,7). მაგრამ თუ ლეკვეიშვილის საუკეთესო შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, მისი მაჩვენებელი 200 მეტრზე (2.35,3) ოდნავ სჯობს 100 მეტრზე (1.11,3) მიღწეულს, მისი სტილის სპორტსმენი კი 200-მეტრიან დისტანციაზე უკეთეს შედეგებს უნდა აჩვენებდეს. იგორმა უფრო მეტი უნდა იმუშაოს ამტანობის გამომუშავებისთვის.

რაც შეეხებათ გოგონებს, აქ ორივე მანძილზე საუკეთესო იყო ქუთაისელი ლ. ხორავა. ამ 14 წლის გოგონას მთავარი კოზირი ფიზიკური ძალა და გამარჯვებისკენ დაუოკებელი სწრაფვაა. მას კარგა ხანია საქართველოს მოცურავეთა მესვეურებმა დაადგეს თვალი და რესპუბლიკის ნაკრებშიც ჩარიცხეს. მაგრამ ხორავას შედეგები ჯერჯერობით შორსაა იმ სამინიმუმო მოთხოვნებისგან, რასაც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვს. საერთოდ, მოცურავეთა შორის არც ისე უჩვეულო მოვლენაა პირადი შედეგების დიდი ნახტომებით გაუმჯობესება. ამისგან არც ხორავა და არც სხვები არიან „დაზღვეული", მაგრამ სიურპრიზის იმედად დარჩენა კარგს არას გვიქადის.

რაკი სიტყვა ქუთაისელ მოცურავეებზე ჩამოვარდა, ორიოდე სიტყვა სხვებზეც ვთქვათ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ქუთაისელებმა II ადგილი დაიკავეს. ასეთი წარმატებისთვის მათ არასდროს მიუღწევიათ. ამას ისინი პირველ ყოვლისა მათთან თბილისიდან ჩასულ მწვრთნელ ა. საფრონოვს უნდა უმადლოდნენ. პირად პირველობაში ქუთაისელებს, ხორავას მიერ მოპოვებული ორი I ადგილის გარდა, კიდევ ამდენი გამარჯვება აქვთ. ეს ორი წარმატება მზარდ გოგონა ტ. კოსტირევას ეკუთვნის.

ქუთაისელი ვაჟებიდან კი ა. გიორგაძე უნდა გამოვყოთ. როცა დიქტორმა სტარტზე მდგომი 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით მოასპარეზე საუკეთესო მოცურავეები გაგვაცნო, აღმოჩნდა, რომ გიორგაძის გარდა გაცურვების ყველა სხვა მონაწილე სპორტის ოსტატი (ძველი კლასიფიკაციით) იყო. ეს ჭაბუკი არ შეუშინდა ტიტულიან მეტოქეებს და ორივე დისტანციაზე მათ სტარტიდანვე გაბედულად „გადაუგდო ხელთათმანი". საბოლოოდ გიორგაძემ II ადგილი დაიკავა 200 მეტრზე და III — 100 მეტრზე.

„სიურპრიზი" შემოგვთავაზეს აჭარის სპორტსმენებმა. იქაური მოცურავეები მუდამ იყვნენ რესპუბლიკის ნაკრებში, თანაც საკავშირო სარბიელზეც კი არ იყვნენ ხელწამოსაკრავი. გავიხსენოთ ვ. კრასკო, მ. გორბუნოვა, ე. სედიაკოვა... საქართველოს ჩემპიონატებში მათთვის მუდამ იყო „დაჯავშნული" II საპრიზო გუნდური ადგილი თბილისის ნაკრების შემდეგ. ახლა კი მათ არათუ II, III ადგილიც დათმეს. პირად პირველობაში აჭარის წარმომადგენელთაგან მხოლოდ ვ. ბურმისტროვი გახდა ჩემპიონი 200 მეტრზე ბატერფლაით, 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

რაშია საქმე, რა მოხდა, მათს აუზში ხომ შეუფერხებლად თბება წყალი? ამ შეკითხვაზე ალბათ თვითონ ბათუმელ მოცურავეთა მესვეურები გაგვცემენ პასუხს.

ვერც ჭიათურელებმა გაგვახარეს.

ორიოდე სიტყვა ტყიბულელ მოცურავეებზე. მათ ცოლ-ქმარი, სპორტის ოსტატები ლ. მარღანია და ვ. ჭარბაძე ავარჯიშებთ. სამწუხაროდ, ტყიბულელებს ქუთაისში თავი არაფრით გამოუჩენიათ. თუმცა, მოდით, თვითონ მწვრთნელებს მოვუსმინოთ:

— ჩვენ შესანიშნავი აუზი გვაქვს, მაგრამ რა გამოვიდა, წყალი მხოლოდ ზაფხულობით თბება. სწორედ ამ პერიოდში ვაგროვებთ გოგონებსა და ჭაბუკებს, ვასწავლით ცურვას და ცუდი პირობების გამო მშობლებს ისინი სპორტის სხვა სახეობებში გადაჰყავთ, — სინანულით გვეუბნებიან ისინი.

სულ ახლო წარსულში მარღანია და ჭარბაძე წარმატებით იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას. ისინი სულ ახალგაზრდები არიან, თავდადებულად შრომობენ, მაგრამ თუ მუშაობის პირობები არ გაუუმჯობესეს, ალბათ ტყიბულში საქმიანობაზე გულს აიცრუებენ.

მკითხველის ყურადღება თბილისელი მოცურავეების ა. იორდანიშვილისა და ა. ბავინის დასაგმობ საქციელზეც გვინდა შევაჩეროთ. ტარდებოდა ესტაფეტა 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით. პირველ ეტაპზე თბილისელმა ა. კუშპელიოვმა დიდი უპირატესობით დააწინაურა გუნდი. მეორე ეტაპზე იორდანიშვილმა აიღო სტარტი. მან არად ჩააგდო გუნდის ინტერესები და ისე ნებივრად ცურავდა, როგორც მოაგარაკე ზღვის მოლივლივე ტალღებში. თბილისელებს კუშპელიოვის მიერ წვითა და დაგვით მოპოვებული წარმატება თვალსა და ხელს შუა გაუქრათ — მათ ქუთაისელები გაუთანაბრდნენ. მესამე ეტაპზე იორდანიშვილს ბავინმაც „აუბა მხარი" და ახლა ქუთაისელები დაწინაურდნენ.

ვინ აიგდო ამ ორმა მასხარად, მეტოქეები თუ გულშემატკივრები? არც ერთი და არც მეორე. ამ ტაკიმასხარებმა თავიანთს თავს დასცინეს. ბოლო ეტაპზე გ. გოდერძიშვილს მთელი ძალების დაძაბვა დასჭირდა, რომ გამარჯვება მოეტანა თავისი გუნდისთვის.

ერთი შენიშვნა შეჯიბრების მომწყობთა მისამართით. გამარჯვებულ გუნდს თასი უნდა მიეღო. მაგრამ არა თუ თასი, დიპლომიც ვერ მიიღო. არც ყველა პირად ჩათვლაში გამარჯვებულმა და პრიზიორებმა მიიღეს დიპლომები. ვინ იცის, იქნებ ზოგიერთმა მათგანმა პირველად მიაღწია ასეთ წარმატებას და იგი უკანასკნელიც აღმოჩნდეს. გაივლის ხანი და რა დარჩებათ მათ ქუთაისში გამართული საქართველოს ჩემპიონატის მოსაგონებლად?

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.





# სანამ თამაში დაიწყებოდა

თბილისელი გულშემატკივრების თანდასწრებით გუშინწინ ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა მოჭადრაკე ქალთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატის ფინალი.

საზეიმო ცერემონიალი გახსნა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ფირცხალავამ. მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ საკავშირო სპორტკომიტეტისა და სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენელი, მოსკოველი მოჭადრაკე ვ. სოკოლოვა, მასპინძელთა სახელით — ოსტატი ა. ბუსლაევი.

მერე ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ო. ტომსონმა შეჯიბრების პირობებზე ილაპარაკა და დამსწრეთ მონაწილენი წარუდგინა.

მთავარმა მსაჯმა აღნიშნა, რომ I-II ადგილების გაყოფის შემთხვევაში ჩემპიონის სახელი ორივე მოჭადრაკეს მიენიჭება. პირველი სამი პრიზიორი XXXV ჩემპიონატის ფინალში პერსონალურად იქნება მიწვეული. მონაწილენი, რომლებიც ქულათა 50 პროცენტს მოაგროვებენ, XXXV ჩემპიონატის ნახევარფინალებში უკონკურსოდ დაიშვებიან. სპორტის ოსტატის მისაღები ნორმატივი 11 ქულაა. მონაწილეებს ეკრძალებათ მსაჯის უნებართვოდ ყაიმზე შეთანხმება 30 სვლამდე.

...სცენაზე ადიან წითელყელსახვევიანი პიონერები ყვავილების თაიგულებით. მონაწილენი წილს იყრიან, ნომრებთან ერთად თბილისის ხედების ფოტოსურათებსაც ღებულობენ.

სატურნირო ცხრილი ასე შეივსო: 1. ოსტატი ა. მკრტჩიანი (ტაშკენტი), 2. ოსტატი მ. სამული (ტალინი), 3. ოსტატობის კანდიდატი ე. ბახრეხი (მოსკოვი), 4. საერთაშორისო ოსტატი ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი), 5. საერთაშორისო ოსტატი ე. ფათალიბეკოვა (მოსკოვი), 6. საერთაშორისო ოსტატი რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი), 7. ოსტატი ა. გრინფელდი (კალინინგრადი), 8. ოსტატი თ. გოლოვეი (მინსკი), 9. ოსტატი თ. ხუგაშვილი (თბილისი), 10. საერთაშორისო ოსტატი ა. კისლოვა (ომსკი), 11. ოსტატობის კანდიდატი ტ. მოროზოვა (ლვოვი), 12. ოსტატობის კანდიდატი ტ. კოსტინა (მინსკი), 13. საერთაშორისო ოსტატი მ. შული (ლვოვი), 14. ოსტატი ც. კობაიძე (თბილისი), 15. ოსტატობის კანდიდატი ტ. პოპოვა (მოსკოვი), 16. საერთაშორისო ოსტატი მ. ჩიბურდანიძე (თბილისი), 17. საერთაშორისო ოსტატი ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), 18. საერთაშორისო ოსტატი მ. რანიკუ (ტალინი), 19. ოსტატი ლ. მულენკო (ზაპოროჟიე).

**სურათებზე:** მოსკოვის ჩემპიონი ე. ფათალიბეკოვა წილისყრის დროს; ც. კობაიძე, მ. ჩიბურდანიძე, ა. გრინფელდი და თ. გოლოვეი ჩემპიონატის გახსნისას.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# ხუთი საგზურისთვის

თბილისში, ოფიცერთა სახლში ამას წინათ სტარტი აიღო პროფკავშირების მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალურმა ტურნირმა.

სტარტზე გამოვიდა 16 მოჭადრაკე, მათ შორის რუსეთის ფედერაციის ექს-ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ლ. საუნინა (სვერდლოვსკი), ოსტატობის კანდიდატები ლ. ბენენსონი (ვილნიუსი), ლ. ზაიცევა, ვ. ვინოკუროვა (ორივე — მოსკოვი), ბ. სამოგონოვა (ფრუნზე) და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავენ ცნობილი მოჭადრაკეები — საქართველოს ექს-ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი და ახალგაზრდები ქ. გაჩეჩილაძე, რ. გეგიძე და ნ. იოსელიანი.

ნახევარფინალში პირველ ხუთ ადგილზე გასული მოჭადრაკეები 1975 წელს მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირების პირველობის ფინალურ ტურნირში.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ც. კახაბრიშვილი, ლ. ბენენსონი და ტ. ვორონოვა (მოსკოვი) — 2,5-2,5 ქულა. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება ნორჩი მოჭადრაკე ნ. იოსელიანი.

ნახევარფინალური ტურნირი 13 ოქტომბრამდე გასტანს.

რ. თავარიანი,
ნახევარფინალის მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ROMA 74

# ყველა გზა რომში მიდის

## ეს იყო მე-80 ოქრო

მაგრამ ყველაზე მწარე ხვედრი მაინც სიმაღლეზე ხტომაში ევროპის წინა ჩემპიონატში გამარჯვებულს — კაუნასელ კ. შაპკას ხვდა. ჰელსინკში ოქროს მედლის მოპოვებისთვის მას 220 სმ სიმაღლის დაძლევა დასჭირდა, რომში კი 225 სმ გადალახა და... ვერცხლს დასჯერდა, ცდების მიხედვით ჩამორჩა დანიელ ე. ტიორინგს.

29 წლის შაპკა ბრძოლაში მაშინ ჩაება, როცა თამასა 2 მეტრის სიმაღლეზე გადეს. მან ეს და ყველა მომდევნო სიმაღლე, 213 სანტიმეტრის ჩათვლით, პირველივე ცდით გადალახა, 216 და 219 სანტიმეტრის დაძლევისთვის კი ორ-ორი ცდა დასჭირდა. ასე რომ, შაპკამ უკვე 8 ცდა გამოიყენა, მაშინ, როცა ტიორინგმა, რომელმაც ბრძოლა 210 სანტიმეტრიდან დაიწყო, 221 სანტიმეტრამდე მისვლას სულ სამი ცდა მოანდომა (მან 213 სმ გამოტოვა).

როცა თამასა 221 სანტიმეტრზე აწიეს, სექტორში მხოლოდ საბჭოთა და დანიელი სპორტსმენები იყვნენ (ორივე ფოსბიურის ყაიდით ხტება). მომდევნო სამი სიმაღლე მეტოქეებმა ერთნაირად გადალახეს, ხოლო 227 სმ ვერ დაიმორჩილეს, თუმცა შაპკა მესამე ცდაზე მიზანთან სულ ახლოს იყო...

ამით ჩემპიონატის პირველი ნახევარი დამთავრდა. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა მძლეოსნები დაწინაურდნენ. მათ 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი ჰქონდათ. ფინელებმა 3 ოქრო მიიღეს, გდრ-ის წარმომადგენლებმა — 2 ოქროსა და 6 ვერცხლის ჯილდო.

— ხვალ დილით ადრე ფლორენციაში მივდივართ, — სტადიონიდან შინისკენ მიმავალი კოლეგები გაგვაფრთხილა ჩვენმა „ოცმეთაურმა" რ. ორლოვმა.

... ავტობუსი 7 საათზე დაიძრა. ფლორენციაში თურმე საბჭოთა ტურისტების სხვა ჯგუფებიც წამოსულან. აქ იყვნენ საქართველოს მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორი ა. შჩერბინა, საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი საქართველოში ე. გაგუა, წარსულში გამოჩენილი სპორტსმენები ე. გოკიელი და ნ. დუმბაძე, ვ. სანეევის მეუღლე ტატიანა...

რომში და მის გარეუბნებში სპორტული ბაზების ფართო ქსელია. ვხედავთ, ერთ-ერთ კარგად მოვლილ მინდორზე დილაადრიან ახალგაზრდები მძლეოსნობაში ვარჯიშობენ. გიდმა გვიამბო: სპორტის მოყვარულებს, ახალბედებსა თუ ხანში შესულებს ბაზებზე მხოლოდ დილას და საღამოს თუ ნახავთ, მუშაობის დაწყებამდე ან სამუშაოს მერე. ღამითაც ვარჯიშობენ. ამიტომაც თითქმის ყველა ღია მოედანს განათება აქვს. შეხედეთ, იმ უტრიბუნო სტადიონს როგორი პროჟექტორები ამშვენებს!

ავტობუსი ჩრდილოეთისკენ მიჰქრის. მთაზე გაშენებული ქალაქი გამოჩნდა. ეტყობოდა ძველი ქალაქი იყო, ირგვლივ ქვის მაღალი გალავანი ერტყა. ორდემი ყოფილა. ძველი თბილისი მომაგონდა, ნარიყალა... მერე იტალიის ხანდაზმულობის მოწმე ასეთი ქალაქები უფრო გახშირდა.

აი, ფლორენციაც. ევროპის ქუჩით ქალაქის ცენტრისკენ გავეშურეთ. სახლების კედლებზე კიდევ ჩანს კვალი უკანასკნელი წყალდიდობისა, როცა თითქმის მთელი ქალაქი დაიტბორა. ზოგან წყლის დონემ მეორე სართულს მიაღწია.

ჩვენი საბოლოო პუნქტი წმინდა მარიამის ტაძარი გამოდგა. ავტობუსმა მიგვიყვანა იმ უზარმაზარ ნაგებობასთან, რომლის ირგვლივ უამრავი ტურისტი, მტრედები და ეტლები ირეოდნენ. ეს მამაპაპური ტრანსპორტი ფლორენციაში დიდ პატივშია...

იქვე უზარმაზარ გალერეაში დავათვალიერეთ ვენერა მედიჩის ღარიბაზი, ბოტიჩელის, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, რემბრანდტის, რუბენსის, ტიციანისა და სხვა დიდებულ ოსტატთა უნიკალური ნამუშევრები. ავედით მიქელანჯელოს მოედანზე, საიდანაც ქალაქი ისე ჩანს, როგორც ბაგრატის ტაძრიდან — ქუთაისი.

... დასვენების დღეც მიიწურა. რომში ვბრუნდებით. ხვალისთვის ყველას თავისი საზრუნავი აქვს. ზოგისთვის დილის სტარტებზე წასვლაა აუცილებელი, სხვებმა კი ავტობუსში მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ დილიდანვე ვატიკანში წავსულიყავით.

წმინდა პეტრეს მოედანი ტურისტთა ნამდვილი ცენტრია, საიდანაც ყოველდღიურად ახალ-ახალი ნაკადები რომის ყველა კუთხისკენ მიედინებიან. ჩვენ ჯერ ვატიკანისა და კაპელა სისტინის მუზეუმები მოვინახულეთ, მერე ტაძარში შევედით...

ვჩქარობთ. დღეს ჩემპიონატი განახლდა. საღამოს ხუთი ფინალია. განსაკუთრებით 200 მეტრზე რბენა გვაინტერესებს. შეძლებს თუ არა შევინსკა მეორე ოქროს მედლის მოპოვებას? უზორზოვოდ ვინ იქნება პირველი ვაჟთა შორის?

6 სექტემბერს ფინალური შეხვედრები დღის 2 საათზე დაიწყო, მაშინ, როცა შუადღის მზე საკმაოდ აცხუნებდა. სარბიელზე ჭოკით მხტომელები გამოვიდნენ. მანამდე კი, ვიდრე ბრძოლა გაჩაღდებოდა, სტადიონზე კვლავ გაისმა სსრ კავშირის ჰიმნი — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგა ხუთჭიდში ევროპის ახალი ჩემპიონი ნ. ტკაჩენკო. ეს იყო ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში მეოთხმოცე ოქროს მედალი, რომლებიც საბჭოთა მძლეოსნებმა მოიპოვეს.

ჭოკით ხტომის ფინალში გზა სამმა საბჭოთა ოსტატმა გაიკვლია: ლენინგრადელმა ვ. კიშკუნმა, სვერდლოვსკელმა ი. ისაკოვმა და რიგელმა ი. ლაურისმა. მათგან ბრძოლას ყველაზე ადრე გამოეთიშა ლაურისი, რომელმაც ასპარეზობა 520 სანტიმეტრის დაძლევის [illegible] ლე კიშკუნისთვისაც კინაღამ საბედისწერო გამოდგა, მაგრამ სპორტსმენის მონდომებამ თავისი გაიტანა — მესამე ცდაზე იგი თამასას თავისუფლად გადაევლო. ამ დროისთვის ლიდერობდნენ ისაკოვი, მსოფლიო რეკორდსმენი, შვედი კ. იზაქსონი და პოლონელი ტ. სლიუსარსკი, რომლებმაც სულ 2-2 ცდა დახარჯეს.

უპირატესობას თითქმის ყველა მსოფლიო რეკორდსმენს აძლევდა, მაგრამ შემდეგმა სიმაღლემ გვიჩვენა, რომ შვედი ჩვეულ სპორტულ ფორმაში არ იყო.

ისაკოვმა 530 სმ პირველივე მისვლით გადალახა. მას არც კიშკუნი, ფინელი ა. კალიომიაკი და პოლონელი ვ. ბუჩარსკი ჩამორჩნენ, პოლონელმა ვ. კოზაკევიჩმა კი ორი ცდა გამოიყენა.

ამრიგად, როცა თამასა კიდევ 5 სანტიმეტრით აწიეს, სარბიელზე ექვსი „კოსმონავტი" იყო. კალიომიაკიმ დასვენება არჩია — 540 სანტიმეტრს ახალი ენერგიით შევუტევო.

მსოფლიო რეკორდსმენი პირველი იყო, ვინც თავდახრილი მაყურებლებში გადასახლდა. მისი ბედი ბუჩარსკიმ და ისაკოვმაც გაიზიარეს, მაგრამ ისაკოვს სანუგეშოდ ის მაინც ჰქონდა, ყველაზე ცუდ ვარიანტში IV ადგილი ედო ჯიბეში... უკეთეს შემთხვევაში კი, თუ კიშკუნი და კოზაკევიჩი 535 სანტიმეტრს ვერ დაძლევდნენ, ოქროს მედალსაც მიიღებდა.

**ო. გელაშვილი.**

(ჩვენი სპეც. კორ.).

რომი — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 187, 188, 189.

# რას ჩადიხართ?!

თბილისში, კონსტიტუციის ქუჩაზე, დგას მშვენიერი ნაგებობა — სპორტული დარბაზი, რომელიც მრავალი ათეული წლის წინათ ტანვარჯიშულმა საზოგადოება „შევარდენმა"ააშენა. ვინ არ იცნობს საქართველოში, ან მის ფარგლებს გარეთაც ლენინის სახელობის დარბაზს? მას დღესაც არ ჰყავს ტოლი რესპუბლიკაში. თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ვინ მოთვლის ტანმოვარჯიშეთა, კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, მოკრივეთა, ძალოსანთა თუ მოჭიდავეთა რამდენ საკავშირო, რესპუბლიკურ, საქალაქო შეჯიბრებას გაუხსნა სტუმართმოყვრულად კარი ამ დარბაზმა! მის კედლებში აღიზარდა სპორტსმენთა არაერთი თაობა, რომლებმაც შემდგომში სახელი გაუთქვეს საქართველოს და მთელს საბჭოთა ქვეყანას.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობისთვის ეს ჩვეულებრივი მოქმედი დარბაზი კი არ არის, არამედ ძვირფასი ისტორიული ძეგლიც. სწორედ ამიტომ გტკივა გული, როცა ხედავ, თუ რას ემსგავსება იგი.

დარბაზს ჰქონდა მშვენიერი სასროლეთი — ტირი. ვიღაც სპორტულმა ჩინოვნიკებმა მისი გაუქმება ამჯობინეს და მთელს სიგრძეზე შემოავლეს შუშაბანდი, რომელიც სხვადასხვა სპორტული დაწესებულებისთვის განკუთვნილ პატარ-პატარა ოთახებით გადატიხრეს. დარბაზი ნათელი იყო — ორივე მხარეს ფანჯრების ორ-ორი მწკრივი ჰქონდა. ახლა ფანჯრების ქვედა რიგი, რომელიც მოედანს ემიჯნებოდა, ანარქისტულად აგებული რაღაც შენობებითაა ამოვსებული, რამაც დაამახინჯა ფასადი და დააბნელა შენობა. დარბაზს სპეციალური შესასვლელი ჰქონდა მაყურებლებისთვის, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა ტრიბუნებს. ჰქონდა პატარა ფოიეც. მას ეს შესასვლელიც წაართვეს... საწყობისთვის. ახლა ტრიბუნებს მთელი დარბაზის გავლით თუ მიადგებით. მეორე სართულზე, დარბაზის ორივე მხარეს, მოაჯირის ბოლოში ოთახები იყო მოწყობილი. ისინიც კარის ამოშენების მერე მეზობლებმა წაიღეს.

დარბაზს ჰქონდა გასახდელიდან პირდაპირ სტადიონზე გასასვლელი. ეს ვენტილაციისთვისაც საჭირო იყო და იმისთვისაც, რომ დარბაზში მომეცადინეებს შესაძლებლობა ჰქონოდათ სტადიონის მძლეოსნური სექტორებითა და ბილიკებით ესარგებლათ. იგიც გადაილობა ქალაქის სპორტკომიტეტის საწყობისთვის. დაბოლოს, შენობის რკინის სახურავს გათბობის მიზნით შიგნიდან თანდართული ჰქონდა საცობის საფარი. საინტერესოა, ვის რად დასჭირდა იგი? რატომ მოხსნეს? ვინ გაანიავა რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი ეს ძვირფასი მასალა?

დარბაზი კარგა ხანია თვალში მოსდის სხვადასხვა სპორტულ ადმინისტრატორს. მათ სულაც არ ადარდებთ მისი პირდაპირი დანიშნულება ან თუნდაც ისტორიული დირებულება. ქალაქის სპორტკომიტეტმა შენობას ერთი მხრიდან კიდევ სართული დააშენა — აქაო და ჩემს აპარატს გაფართოება სჭირდებაო. ვერ გაუძლო შენობამ უხეიროდ დაშენებულ სართულს, ამდენ საქმიან ხალხს და... დარბაზის ჭერი აქა-იქ გაიბზარა.

დარბაზი, როგორც ჩანს, საერთოდ მოსვენებას არ აძლევს სამეურნეო დარგის ზოგიერთ მუშაკს. ახლა ისინი ფანჯრების მეორე მწკრივის გაუქმებასაც აპირებენ, სამშენებლო კონტორის საჭიროებისთვის ეზოდან კიდევ ერთი სართულის მიშენება გადაუწყვეტიათ. შესასვლელი ამ ახალ ნაგებობას დარბაზის აივნიდან ექნება, რაც, რა თქმა უნდა, საბოლოოდ დააბნელებს შენობას და ვენტილაციასაც მოუსპობს. საინტერესოა, ნუთუ ამ ბარბაროსების ბოგინს ბოლო არ მოეღება?!

ეს ყოვლად დაუშვებელია! უფრო მეტიც: შეძლებისდაგვარად უნდა მოისპოს დარბაზის ფასადის დამმახინჯებელი ყველა მინაშენი, დაუბრუნდეს მას თავისი ოთახები და სათავსოები. დარბაზი წესრიგში უნდა მოვიყვანოთ. ამას მოითხოვს მისი ყოველდღიური როლი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში, მისი ისტორიული მნიშვნელობა.

ამ სიტყვებს ვწერ ბევრი ძველი და ახალგაზრდა სპორტსმენის სახელით, თავად ძველი სპორტსმენი

**ვლადიმერ მდივანი.**

# პირნათლად ემსახურება

საგარეჯოში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში თითქმის მთელმა აღმოსავლეთ საქართველომ მიიღო მონაწილეობა. ეს იყო რესპუბლიკის VI სპარტაკიადის ზონალური ტურნირი, რომელმაც მომავალი წლის ფინალური ასპარეზობის საგზურები დაარიგა.

შეჯიბრების მონაწილეთაგან ბევრმა სრული გუნდი ვერ წარმოადგინა. მაგრამ ის, რომ საგარეჯოს ათი რაიონის მოჭიდავეები ეწვივნენ (მეთერთმეტე მონაწილე პირველობის მასპინძელი იყო), მისასალმებელია და თავისუფალი ჭიდაობის პოპულარობაზე მეტყველებს. მაგალითად, ამ რანგის ასპარეზობაში პირველად სცადეს ძალა გურჯაანის, ბოლნისის, ლაგოდეხისა და ბოგდანოვკის რაიონების წარმომადგენლებმა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ბოგდანოვკელმა ახალგაზრდებმა. მათ, მართალია, ჯერ გამოცდილება აკლიათ, მაგრამ ფიზიკურად კარგად მომზადებული არიან და საიმედო პერსპექტივებიც აქვთ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა საგარეჯოს ნაკრებმა. გაისად იგი პირად ტურნირში გამარჯვებულებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს საქართველოს VI სპარტაკიადის ფინალში. II ადგილი ხვდათ თელავის, III — ხაშურის ათლეტებს.

თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს მცხეთელებმა: მათ ამ ტურნირში ხუთი I ადგილი ერგოთ. მაგრამ, სამწუხაროდ, მცხეთის რაიონის ნაკრები მხოლოდ 6 მონაწილისგან შედგებოდა, გუნდში კი სულ ცოტა 8 მოჭიდავე უნდა ყოფილიყო. ეს რომ არა, მცხეთის წარმომადგენლებს თამამად შეეძლოთ საერთო I ადგილისთვის ბრძოლა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ნ. აბულაძე (თელავი), ტ. ბაყაშვილი (გურჯაანი), მ. ჩხაიძე, ა. გილაური, თამაზ და თეიმურ ქონიაშვილები, კ. სუთიაშვილი (ყველა — მცხეთა), ტ. გზირიშვილი, ვ. ქპლივიძე, თ. გეგეშიძე (ყველა — საგარეჯო).

რა შეიძლება ითქვას გამარჯვებულებზე? ისინი კარგად მოემზადნენ და გამარჯვებაც შემთხვევით არ მოუპოვებიათ.

პერსპექტიული ახალგაზრდაა ტ. ბაყაშვილი. მან საგარეჯოში ისწავლა ჭიდაობა. მერე ჯარში წავიდა. დემობილიზაციის შემდეგ წვრთნა გურჯაანში განაგრძო და, როგორც ხედავთ, წარმატებასაც მიაღწია. ქებით უნდა მოვიხსენიოთ ძმები ქონიაშვილებიც. რაც შეეხებათ მ. ჩხაიძესა და კ. სუთიაშვილს, მათი გამარჯვება არავის გაკვირვებია: ჩხაიძე საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორია, სუთიაშვილი კი — რესპუბლიკის ნაკრების წევრი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ექვსი გამარჯვებული (ძმები ქონიაშვილები, გილაური, სუთიაშვილი, ჩხაიძე და გეგეშიძე) საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის მ. ოსეფაშვილის მოწაფეა. აი, ვის შეუძლია თამამად თქვას, რომ პირნათლად ემსახურება საყვარელ სპორტს — თავისუფალ ჭიდაობას.

**ნ. ახვლედიანი.**

(ჩვენი სპეც. კორ.).

საგარეჯო.

# მხოლოდ ორი გუნდი

თბილისის ზღვაზე დამთავრდა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა კანოეებითა და ბაიდარებით ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში მხოლოდ ორი კოლექტივი — საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდები მონაწილეობდნენ. საასპარეზოდ არ გამოცხადდნენ ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის კოლექტივები.

ვაჟთა შორის ერთადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე რბოლაში 4 სპორტსმენი ასპარეზობდა. გაიმარჯვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. მიხაილოვმა — 2.03,8.

ერთადგილიანი კანოეებით ამავე დისტანციაზე რბოლა მოიგო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ე. ეზიაშვილმა. მან 0,1 წამით აჯობა მ. ფიოდოროვს (სპი) — 2.23,0.

ორადგილიანი ბაიდარებით დიდხანს ერთად მიდიოდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ვ. გრიგორიევი — მიხაილოვი და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ზ. ალიევი — ვ. ლუკინი. ფინიშამდე 50 მეტრი რომ იყო დარჩენილი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნიჩბოსნებმა ტემპს უმატეს და ფინიშთან პირველნი მივიდნენ.

ორადგილიანი კანოეებით ასპარეზობაშიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა გ. ლაზარიანმა და ფიოდოროვმა ისახელეს თავი — 2.09.

1000 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარებით ბრძოლაში ყველას აჯობა გრიგორიევმა — 4.30. ორადგილიანი ბაიდარებით რბოლაში ამავე დისტანციაზე იმარჯვეს ვ. სოსელიამ და მიხაილოვმა — 4.07.

ერთადგილიანი კანოეთი საუკეთესო შედეგი აჩვენა გ. ლაზარიანმა — 5.03. ორადგილიანებით რბოლაში ფიოდოროვმა და ლაზარიანმა გაიმარჯვეს — 4.45.

ქალთა შორის მეტად სავალალო მდგომარეობა იყო: სტარტზე მხოლოდ ორი სტუდენტი — ნ. ტონკონოჟენკო და ე. მორჩილაძე (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი) გამოვიდნენ. გაიმარჯვა ტონკონოჟენკომ — 2.40.

საბოლოოდ ორივე კოლექტივმა თანაბარი ქულები დააგროვა, მაგრამ მომავალ ინჟინრებს მეტი I ადგილი აღმოაჩნდათ და საერთო პირველობაც მათ მიეკუთვნათ.

დაკომპლექტდა ნაკრები, რომელიც 3-6 ოქტომბერს ფოთში იასპარეზებს საქართველოს პირველობაში.

**ლ. ხეცურიანი,**

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## „ლელო" წერილის კვალდაკვალ

### „ბაკურიანს მეტი ყურადღება სჭირდება"

ამ სათაურით „ლელოს" 20 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ წერილში მოყვანილი ფაქტების შემოწმება საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომმა სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს დაავალა.

როგორც ბორჯომის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე შ. აიწურაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა. სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა ხადაბო საბჭოში შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისთვის საბჭოს თავმჯდომარეს გ. ფერაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, უნებართვო მშენებლობისთვის სამუშაოდან გაათავისუფლა ბაკურიანის რკინიგზის სადგურის უფროსი ბ. სტეფანიანი და ბორჯომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ბაკურიანის კომბინატის უფროსი ა. ცხოვრებაშვილი.

დასახულია სხვა ღონისძიებებიც.

## ერთი მოთხილამურის მალაყი უკვე აღარაფერია...







მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სადაც კი სამთოსათხილამურო სპორტს მისდევენ, ბოლო დროს ერთობ გახშირდა მოთხილამურე აკრობატების შეჯიბრებები. ამ ახალ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატებიც კი იმართება. მაგრამ აკრობატები ერთი და იგივე ტრიუკების გაკეთებას არ სჯერდებიან და სულ ახალს და ახალს იგონებენ. ერთი სიტყვით, როგორც სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლები, ისინიც დღითიდღე ხვეწენ თავიანთს ოსტატობას.

ერთ-ერთ ასეთ ტრიუკს — სამი კაცის ჯგუფურ ნახტომს, შუა სურათზე ხედავთ. ქვედა სურათზე აღბეჭდილი მოთხილამურე მალაყის გასაკეთებლად ემზადება, ბოლო ზედა სურათზე გამოსახულია მომენტი, როცა მოთხილამურეები მალაყს აკეთებენ.

იუნაიტედ პრესისა და პ. ოზეს („იუმანიტე-დიმანში") ფოტოები.

## ძმები — მეტოქეები და თანაგუნდელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის პირველობა ბადმინტონში არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ჩატარდა. ასპარეზობის ამ დარბაზში ჩატარება მიზანშეუწონლად მიგვაჩია და აი, რატომ: საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველგვარ ასპარეზობას მეტ შნოსა და ლაზათს აძლევს მაყურებელთა სიმრავლე. ასეთ შემთხვევაში სპორტსმენები უფრო თავგამოდებით, მონდომებით იბრძვიან, რათა თავიანთი გულშემატკივრები არ გააწბილონ. არმიის სპორტული კლუბი კი, მოგეხსენებათ, ქალაქის განაპირას მდებარეობს და მისასვლელად მოუხერხებელია. ამიტომაც იყო, რომ სპორტსმენებს ცარიელი ტრიბუნების წინ ასპარეზობდნენ. ეს კი მეტად სამწუხაროა, რადგან ბადმინტონი შედარებით ახალი დანერგილი სახეობაა საქართველოში და მას პოპულარიზაცია სჭირდება.

სარბიელზე მხოლოდ „ბურევესტნიკის" წარმომადგენლები გამოვიდნენ. ბადმინტონის განვითარებისთვის ხომ მხოლოდ ამ სპორტსაზოგადოებაში ზრუნავენ.

აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა სამედიცინო ინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელმა ა. დავიდოვმა. მან ერთეულთა შეჯიბრების ფინალში თავისი ძმა ანატოლი დაამარცხა. შემდეგ კი ძმები გაერთიანდნენ და წყვილთა შეჯიბრებაში არავის დაუთმეს პირველობა. ალექსანდრემ შერეულ წყვილებში თ. ბალაშვილთან ერთადაც იყოჩაღა.

ქალთა ერთეულების შეჯიბრებაში საუკეთესო იყო რ. ოკინაშვილი.

**გ. ამირხანოვი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

**ფ ე ხ ბ უ რ თ ი**

## მსაჯი განმარტავს

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომლის ავტორი, ბათუმელი ფეხბურთის მოყვარული ა. ჩავლეიშვილი გამოთქვამს თავის მოსაზრებას 15 სექტემბერს მოსკოვში შემდგარ საკავშირო ჩემპიონატის მატჩზე ადგილობრივ „ტორპედოსა" და ლენინგრადის „ზენიტს" შორის. ა. ჩავლეიშვილი გვწერს:

„მატჩის არბიტრმა კ. ყრუაშვილმა ზენიტელებს არ ჩაუთვალა გატანილი გოლი და აღნიშნა თამაშგარე მდგომარეობა. მართალია, ერთი ზენიტელი ამ მომენტში იმყოფებოდა თამაშგარეთ, მაგრამ მას ბურთი არ მიუღია, არც დაურტყამს, გოლი კი გაიტანა სულ სხვამ. არც გვერდით მსაჯს აუწევია ამ დროს დროშა. ჩემი აზრით, კ. ყრუაშვილი უსამართლოდ მოიქცა, როცა არ ჩაუთვალა ზენიტელებს გოლი. გთხოვთ ამიხსნათ, ვარ თუ არა სწორი".

ფეხბურთის მოყვარულთაგან ა. ჩავლეიშვილი მარტო არ არის, ვისაც აინტერესებს გაერკვეს იმ რთულ სიტუაციაში, როცა კ. ყრუაშვილმა არ ჩათვალა ლენინგრადელთა მიერ „ტორპედოს" კარში გატანილი ბურთი. ამაზე სხვადასხვა, დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა პრესაშიც. კერძოდ, ს. ალექსეევმა „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიაში" დაწერა შემდეგი:

„ლენინგრადელთა ნახევარმცველმა ბულავინმა დაარტყა და ბურთი ბადეში აღმოჩნდა, მაგრამ... კ. ყრუაშვილმა გოლი არ ჩათვალა, ვინაიდან ერთ-ერთი ლენინგრადელი იმყოფებოდა თამაშგარე მდგომარეობაში. სპეციალისტთა აზრი, ვისთანაც ამაზე მქონდა საუბარი, გაიყო: ერთნი (ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ) მიიჩნევდნენ, რომ ოფსაიდი პასიური იყო და ამიტომ გოლი უნდა ჩათვლილიყო, სხვები ლაპარაკობდნენ წესების ფორმალურ მხარეზე".

სულ სხვა აზრისაა „ტრუდის" მიმომხილველი: „68-ე წუთზე ბურთი გავიდა „ტორპედოს" კარში, მაგრამ სამართლიანად არ იქნა ჩათვლილი კ. ყრუაშვილის მიერ (მან კარგად იმსაჯა მატჩი) იმ მიზეზით, რომ ადგილი მქონდა აშკარა თამაშგარე მდგომარეობას".

ახლა მოვუსმინოთ რას წერს ამ ეპიზოდზე „ფუტბოლ-ჰოკეიში" ლ. ფილატოვი: „ერთ-ერთი იერიშის დროს ჩინებულ შორეულ დარტყმას ვერაფერი მოუხერხა „ტორპედოს" მეკარემ და... მაგრამ ანგარიში არ გათანაბრებულა, ვინაიდან გვერდითმა მსაჯმა სწორად აღნიშნა, რომ რომელიღაც ლენინგრადელი შეიჭრა ოფსაიდში. აქ მინდვრის მსაჯს უფლება აქვს შეაფასოს ეგრეთ წოდებული პასიური თამაშგარე. ახდენდა გავლენას ეს წინდაუხედავად შეჭრილი მოთამაშე სიტუაციაზე? ყრუაშვილმა გოლი არ ჩათვალა. არბიტრი ხელშეუხებელია. მაგრამ რომც ჩაეთვალა, მას მაინც ვერ გამოედავებოდნენ. რაც მე მახსოვს ანალოგიური სიტუაციები, მსაჯები ჩვეულებრივ არ თვლიან ასეთ გოლებს. ჩათვის უფრო ადვილია ამის ახსნა: „რა გნებავთ, დროშა აწეულ იქნა, თამაშგარეს ყველა ხედავდა".

და მაინც მე მგონია, რომ ის მსაჯი, რომელიც კარგად გატანილ გოლს უფრო ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე პასიურ „თამაშგარეს", უფრო იცავს ფეხბურთის ინტერესს, მაგრამ, რას იზამ, როცა ესოდენ საკამათო და სამერყევოა ეს პასიური ოფსაიდი. იგი ერთ-ერთი აშკარად სუსტი ადგილია ფეხბურთის წესებში".

როგორც ხედავთ, ერთნი ერთი აზრისა არიან, მეორენი — საწინააღმდეგოსი, ხოლო მესამენი თამაშის წესების არასრულყოფილ მხარეებს გადაწვდნენ. მსაჯმა კი დაუყოვნებლივ, ორი-სამი წამის მანძილზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თანაც სწორი, უშეცდომო.

ჩვენ გადავწყვიტეთ შეკითხვით მივვემართა თვით ამ მატჩის არბიტრ კ. ყრუაშვილისთვის. აი, მისი კომენტარი:

— იმ მომენტში, როცა ბულავინი კარში დასარტყმელ პოზიციაში გავიდა, მას ერთ-ერთი ტორპედოელი ებრძოდა. საეჭვო იქ არაფერი იყო გარდა იმისა, რომ ტორპედოელს შეეძლო წესი დაერღვია და უხეშად ეთამაშა ლენინგრადელის წინააღმდეგ. ეს მე არ გამომრჩებოდა, ამიტომ მაშინვე გავიხედე კარისკენ, სადაც სრული სისწრაფით გარბოდა ლენინგრადელთა მარცხენა გარემარბი კაზაჩონოკი. მას ცოტა მაინც რომ დაეგვიანა, ვერ მოასწრებდა აქტიურ თამაშგარე მდგომარეობამდე გასვლას, მაგრამ კაზაჩონოკი ძალიან სწრაფად გარბოდა და ბულავინის დარტყმამდე მიაღწია იმ ადგილამდე, რომელსაც მეკარე ელიზაროვი ყარაულობდა. იმავე მომენტში გვერდითმა მსაჯმა უ. ფურცელაძემ ასწია დროშა და მანიშნა, რომ კაზაჩონოკი ხელს უშლიდა მეკარეს, იპყრობდა მის ყურადღებას, ესე იგი არსებითად მონაწილეობდა სათამაშო ეპიზოდში. არ დასტვენა ასეთ ვითარებაში ნიშნავდა დემონსტრაციულად არ შეგვემჩნია მოთამაშე, რომელიც პასიური თამაშგარე მდგომარეობიდან აშკარად აქტიურ პოზიციაში აღმოჩნდა, თანაც, ბულავინს ჯერ არ ჰქონდა შესრულებული დარტყმა. ჩემი და გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილებანი მაშინვე დაემთხვა ერთმანეთს და ორივემ ერთნაირად შევაფასეთ შექმნილი მდგომარეობა. მე ისე ვიმოქმედე, როგორც ამას თამაშის წესები მოითხოვს — არ ჩავთვალე გოლი.

### სსრ კავშირის პირველობა

#### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 26 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (კ.) | 23 | 14 | 7 | 2 | 37—14 | 35 |
| „დინ." (მ.) | 23 | 14 | 6 | 3 | 49—22 | 34 |
| „ზენიტი" | 23 | 12 | 5 | 6 | 42—32 | 29 |
| „სპარტ." | 23 | 11 | 5 | 7 | 28—22 | 27 |
| „შახტიორი" | 23 | 11 | 4 | 8 | 31—19 | 26 |
| „ქაირათი" | 21 | 10 | 6 | 5 | 28—20 | 26 |
| „ტორპედო" | 23 | 8 | 9 | 6 | 27—19 | 25 |
| „ჩერნომ." | 23 | 9 | 6 | 8 | 47—39 | 24 |
| ცსკა | 23 | 7 | 7 | 9 | 36—32 | 21 |
| „ფახთაქ." | 22 | 6 | 7 | 9 | 31—38 | 19 |
| „არარატი" | 22 | 5 | 9 | 8 | 23—30 | 19 |
| „ნისტრუ" | 23 | 6 | 6 | 11 | 37—51 | 18 |
| „დინამო" (თბილისი) | 23 | 5 | 7 | 11 | 27—42 | 17 |
| „კარპატი" | 20 | 5 | 5 | 10 | 16—29 | 15 |
| „დნეპრი" | 23 | 2 | 11 | 10 | 20—39 | 15 |
| „ზარია" | 22 | 2 | 6 | 14 | 14—45 | 10 |

## დიდი კარიერის სევდიანი დასასრული

შვედი ლენარტ სკოგლუნდი ომის შემდგომ წლებში მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა რიგებში ითვლებოდა. იგი თამაშობდა ხან მარცხენა ნახევარმცველის, ხან კი მარცხენა გარემარბის ადგილზე. სკოგლუნდის, როგორც უკვე ჩამოყალიბებული ოსტატის, საინტერესო და მრავალწლიანი კარიერა დაიწყო 1949 წელს სტოკჰოლმში, ხოლო უკვე 1950 წლიდან მოყოლებული 1964 წლამდე დიდი წარმატებით გამოდიოდა იტალიის პროფეს იულ კლუბებში „ინტერნაციონალეში", „სამპდორიასა" და „პალერმოში". მერე იგი კვლავ მშობლიურ სტოკჰოლმს დაუბრუნდა და რამდენიმე თვის განმავლობაში კლუბ „ჰამაბიში" გამოდიოდა.

სკოგლუნდი შვედეთის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო წევრი იყო და თავისი ქვეყნის ღირსება საერთაშორისო ასპარეზზე 14-ჯერ დაიცვა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის 1950 წელს მსოფლიო ჩემპიონატში შვედეთის ნაკრების მიერ ბრინჯაოს მედლის, 1958 წელს კი — ვერცხლის მედლის მოპოვებაში. სკოგლუნდს აღფრთოვანებაში მოჰყავდა მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები ფანტასტიკური დარტყმებით, მოულოდნელი ფინტებით, მაგრამ...

... მაგრამ საფეხბურთო დიდების დღენი მიიწურა, თუმცა ამ ფაქტის წინაშე პირისპირ ლენარტი ისე უცბად აღმოჩნდა, რომ არც სჯეროდა სინამდვილისა, ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ დამთავრდა თავბრუდამხვევი წარმატებებითა და უცხო ქვეყანაში სასიამოვნო თავგადასავლებით აღსავსე სპორტული კარიერა და იწყებოდა ხანგრძლივი, ლენარტისთვის ჯერ უცხო, ნორმალური ოჯახური ცხოვრება. როცა იგი 1964 წელს საბოლოოდ დაემშვიდობა ფეხბურთს, აშკარად უმტყუნა ნერვებმა. რა თქმა უნდა, უნაყოფო გამოდგა ალკოჰოლით „მკურნალობა" და ლენარტს სულ უფრო იპყრობდა გამოუცნობი შიში, უმიზეზოდ გაურბოდა ხალხს, ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან ბუნდოვნად, გაუგებრად ლაპარაკობდა.

სკოგლუნდი სტოკჰოლმის მახლობლად ნევროპათოლოგიურ კლინიკაში მოათავსეს. თერაპიამ უშედეგოდ ჩაიარა და, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ავადმყოფის მდგომარეობა ჯერჯერობით არ გაუმჯობესებულა. თუმცა ბოლოს და ბოლოს სასურველ შედეგს ვარაუდობენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სკოგლუნდის ორი ვაჟიშვილი უკვე აქტიური ფეხბურთელები არიან და ალბათ ეს თუ იქნება მამის ერთადერთი ნუგეში მომავალში.

გაზეთი „სპორტი" (ცატოვიცე).

**რედაქტორი მ. პაპაბაძე.**

ИНДЕКС 68448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ლე 02837